

დამტკიცებულია რექტორის
2017 წლის 15 სექტემბრის N157 ბრძანებით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N157	15.09.2017

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი
	რექტორი	ბრძანება N68	02.03.2018	2.4; 5.1 (ე); 8.6; 10.2; 10.3; 10.10; 10.13; 11.5;	შეიცვალა
	რექტორი	ბრძანება N115	03.04.2018	12 12-18 17	დაემატა შეიცვალა ნუმერაცია შეიცვალა
	რექტორი	ბრძანება N260	07.09.2018	7.1 (დ); 8.5; 8.6; 10.16; 11; 14.2; 16.1;	შეიცვალა
	რექტორი	ბრძანება N271	19.09.2019	2.4; 3.3; 4.11-4.13; 5.1 (ე) (ვ); 7.1 (ე); 8.5; 8.6; 9.3; 10.6; 10.12; 10.19; 11.1; 11.5; 10.15; 10.16 12.3	შეიცვალა ამოღებულია (შესაბამისად შეიცვალა ნუმერაცია) დაემატა

შინაარსი

თავი I ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 1. რეგულირების სფერო	3
თავი II თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება	3
მუხლი 2. თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	3
მუხლი 3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების თსა-ში ჩარიცხვა	4
მუხლი 4. თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვა.....	4
თავი III სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა.....	6
მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა.....	6
მუხლი 6. გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენა.....	7
მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.....	7
თავი IV კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება.....	8
მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება.....	8
მუხლი 9. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება.....	8
მუხლი 10. კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება	10
მუხლი 11. ინტენსიური სწავლების კურსი.....	14
მუხლი 12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.....	15
მუხლი 13. დამატებითი სემესტრი	15
თავი V სასწავლო წლის რეგლამენტი.....	15
მუხლი 14. სასწავლო წლის რეგლამენტი	15
თავი VI სწავლის საფასური	16
მუხლი 15. სწავლის საფასური.....	16
თავი VII აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი.....	16
მუხლი 16. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი.....	16
თავი VIII საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, შეცვლა, გაუქმება	16
მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა/დამტკიცება, შეცვლა, გაუქმება	16
თავი IX დასკვნითი დებულებები	17
მუხლი 18. დასკვნითი დებულებები	17

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების, 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანების (და მათში განხორციელებული ცვლილება-დამატებების), ასევე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, განისაზღვროს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - „თსა“) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი II თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 2.1 სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის სკოლის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
- 2.2 თსა-ში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი თსა-ს მიერ დადგენილ ვადებში გადის რეგისტრაციას. რეგისტრაციისას ჩარიცხვის უფლების მქონე პირი წარმოადგენს თსა-ს მიერ დადგენილ დოკუმენტებს (სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით), სამხედრო მიწერის მოწმობა ან აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის), სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი). რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდგომ, რექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (კოეფიციენტების რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ) შესაბამისად გამოსცემს სამართლებრივ აქტს მათი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ რანჟირების დოკუმენტში შესული პირი ვერ მოხვდება რექტორის სამართლებრივ აქტში თსა-სთვის დადგენილ ვადაზე არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს თსა-ს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის მიერ ერთიანი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. ამ შემთხვევაში, რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს სამართლებრივი აქტი, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2.3 თსა-ში ჩარიცხულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში - კანონიერ წარმომადგენელთან.
- 2.4 ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკურნალო საქმე“ პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტების ჯგუფებში განაწილება ხდება ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისად, თსა-ს საგამოცდო ცენტრში ჩატარებულ გამოცდაზე ინგლისურ ენაში მიღებული შედეგის მიხედვით. ის სტუდენტები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ რომელიმე სხვა უცხო ენა გადანაწილებიან ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით დაბალ რეიტინგულ ჯგუფში. ჯგუფებში გადანაწილება ხდება ინგლისურში 75% და მეტი შედეგით.

მუხლი 3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების თსა-ში ჩარიცხვა

- 3.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში;
- 3.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:
- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - დ) საქართველოს მოქალაქეებისთვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც არანაკლებ 75 დღის (ერთი სემესტრის განმავლობაში) ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- 3.3 თსა-ში ჩარიცხვის წინაპირობაა ზღვრული კონტიგენტის ფარგლებში ვაკანტური ადგილის არსებობა და რექტორის წერილობითი თანხმობა, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - მედიცინა კი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 11 ივნისის N90/ნ ბრძანების შესაბამისად ჩატარებული გასაუბრება.
- 3.4 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სწავლის უფლების მინიჭების და თსა-ს მიერ დადგენილი დოკუმენტების (ორიგინალი პასპორტის ასლი, პასპორტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით), სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი), წარმოდგენის შემდეგ რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

მუხლი 4. თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვა

- 4.1 თსა-ში სტუდენტის ჩარიცხვა მობილობის წესით ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების (“უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ”) შესაბამისად;
- 4.2 თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს:
- 4.2.1 პირს, რომლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის დაწესებულების სტუდენტი;

- 4.2.2 პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი;
- 4.2.3 პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;
- 4.2.4 სტატუსშეწყვეტილ პირებს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში;
- 4.3 მობილობის უფლება სტუდენტს წარმოემოზა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ან დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება მობილობის უფლება სტუდენტს წარმოემოზა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.
- 4.4 სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში წელიწადში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, თსა-ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე;
- 4.5 თსა მობილობისთვის ვაკანტურ ადგილებს გამოყოფს რექტორის ბრძანების საფუძველზე, არეგისტრირებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე და ინფორმაციას მობილობის შესახებ აქვეყნებს თსა-ის ვებგვერდზე;
- 4.6 მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით;
- 4.7 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მობილობის მსურველმა სტუდენტმა თსა-ის დადგენილ ვადებში უნდა მომართოს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- 4.7.1 განცხადება რექტორის სახელზე;
- 4.7.2 პირადობის მოწმობის ასლი;
- 4.7.3 სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან;
- 4.7.4 ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი (2005-2010 წწ-ში ეროვნულგამოცდებჩა-ბარებული სტუდენტებისთვის);
- 4.7.5 სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი;
- 4.7.6 წვევამდელის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის);
- 4.7.7 2 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონული ვერსიით);
- 4.7.8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ კურსზე ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი.
- 4.7.9 სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით გამოცემული ყველა ბრძანების ასლი/ამონაწერი;
- 4.8 მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების პროექტში შეტანა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მედიცინის სკოლის დეკანისა და თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ დადგინდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა; შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ

გავლილი და თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებაში არსებული სხვაობის მიუხედავად, ასევე შესაძლებელია მოხდეს იმ სასწავლო კურსების/კრედიტების აღიარება, რომელიც თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. მობილობის მსურველი პირი აღიარებული კრედიტების რაოდენობაზე წერილობითი ფორმით აცხადებს თანხმობას.

- 4.9 მოტივირებული გადაწყვეტილების და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე თსა შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების პროექტს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მათ მიერ დადგენილ ვადაში.
- 4.10 თსა-ში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებას რექტორი გამოსცემს პროექტზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის საფუძველზე. მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ პირადი საქმის წარმოდგენა ხდება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდგომ.
- 4.11 თსა-ს რექტორი მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას გამოსცემს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში ბრძანება იგზავნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
- 4.12 სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, რომელმაც მოიპოვა მობილობის უფლება და დადგენილ ვადაში არ მიმართა თსა-ს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე კარგავს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 4.13 თსა-ში შიდა მობილობის უფლება სტუდენტს ეძლევა სწავლების I წლის პირველი სემესტრიდან. შიდა მობილობა ცხადდება რექტორის მიერ დადგენილ ვადებში სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. კრედიტების აღიარება მოხდება მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

თავი III სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

- 5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
 - დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - ე) სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში თსა-ში გამოუცხადებლობა; გამოუცხადებლობის დოკუმენტით დადასტურებული ობიექტური მიზეზით საპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში გამონაკლის შემთხვევას სტუდენტის პროგრამაზე დაშვების შესახებ განიხილავს სააპელაციო საბჭო.
 - ვ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა თსა-ს სტუდენტ(ებ)ის, პედაგოგიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ან ქცევის კოდექსით დადგენილი სხვა ნორმ(ებ)ის დარღვევა; სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თსა-ში მოქმედი ადმინისტრაციული კომიტეტი.
 - ზ) ფინანსური დავალიანება - სწავლის საფასურის დათქმულ ვადაში გადაუხდელობა;

- 5.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან წინამდებარე წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც უკავშირდება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიძღვნილი დაწესებულების წესდებასთან.
- 5.3 სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებს გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისთვის დადგენილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
- 5.4 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის მომართვის საფუძველზე სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო გონივრულ ვადაში.
- 5.5 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი (სწავლების წელი, სემესტრი) განისაზღვრება ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების საფუძველზე.

მუხლი 6. გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენა

- 6.1 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების გამოცემამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს თსა-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
- 6.2 გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის არსებულთან თავსებადობა დგინდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 7.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- ა) მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
 - ბ) 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
 - გ) პირადი განცხადება;
 - დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის ზედიზედ 3-ჯერ გავლა (ინტენსიური კურსის ჩათვლით) და კრედიტის ვერ მიღება;
 - ე) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა თსა-ს სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ან სხვა, თსა-ში მოქმედი ქცევის კოდექსის შესაბამისად დადგენილი ნორმების დარღვევა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თსა-ში მოქმედი ადმინისტრაციული კომიტეტი.
 - ვ) გარდაცვალება.
- 7.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება თსა-ს რექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი

თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მობილობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

7.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება

- 8.1 სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათში; კრედიტები ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებზე/კომპონენტებზე და ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.
- 8.2 კრედიტი არ შეიძლება გაანგარიშებული იქნეს სტუდენტის მიერ მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით. შესაბამისად თსა-ში სტუდენტის დატვირთვა მოიცავს, როგორც ლექციებზე, ჯგუფურ მეცადინეობებზე (პრაქტიკული, ლაბორატორიული, სემინარი, კურაცია) დასწრება-აქტივობას და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, დამოუკიდებელ მუშაობას და ა.შ.
- 8.3 თსა-ში ერთი კრედიტი შეესაბამება 30 ასტრონომიულ საათს; სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეადგენს 60 კრედიტს (1800 ასტრონომიულ საათი), შესაბამისად, ერთი სემესტრის განმავლობაში - 30 კრედიტს. რიგ შემთხვევაში (მობილობის, აღდგენის წესით ჩარიცხვის ან ინდივიდუალური გრაფიკის მქონე სტუდენტისთვის და სხვა) დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა განისაზღვროს 75 კრედიტით წელიწადში.
- 8.4 თსა-ში სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.
- 8.5 თსა-ში ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები - სამკურნალო საქმე (ქართულენოვანი) და მედიცინა (ინგლისურენოვანი) მოიცავს 360 კრედიტს, წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტი.
- 8.6 თსა სთავაზობს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევით სასწავლო კურსებს. სტუდენტი, სემესტრის დასრულებამდე 1 კვირის განმავლობაში, უფლებამოსილია შეზღუდვის გარეშე აირჩიოს მომავალი სემესტრის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი, მისთვის სასურველი სასწავლო კურსი. სტუდენტს საგნის არჩევა შეუძლია ელექტრონულად თსა-ში დადგენილი წესით. საგნის არჩევის შემდგომ, ხდება კონკრეტული სტუდენტის რეგისტრაცია არჩეულ სასწავლო კურსზე.

მუხლი 9. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

- 9.1 უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- 9.2 თსა-ში ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ საქართველოს და უცხოეთის უსდ-ში დაგროვებული კრედიტების (საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის) აღიარება ხდება მედიცინის სკოლის დეკანისა და თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ერთობლივი დასკვნის (საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დასკვნა) საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტის 4.8 პუნქტის შესაბამისად.

9.3 თსა-ში კრედიტების (ან შეფასებების) აღიარება დასაშვებია. კრედიტების (ან შეფასებების) აღიარების მოცულობა დგინდება თსა-ს მიერ.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ აკადემიურ ცნობაში სასწავლო კურსებს არ აქვს მინიჭებული კრედიტი, მათთვის კრედიტების მინიჭება მოხდება შემდეგი წესით: სასწავლო კურსი, რომლის საკონტაქტო საათების რაოდენობა ემთხვევა ან მიახლოებულია მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების საკონტაქტო საათებს ავტომატურად ენიჭება იგივე კრედიტი. თუ საკონტაქტო საათები განსხვავებულია, თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (რომელიც თსა-ში პირობითად შეადგენს 1,5-2-ს) და მიღებული საათების რაოდენობა იყოფა 30-ზე (ანუ 1 კრედიტის საათობრივ რაოდენობაზე) და მრგვალდება მთელ ციფრამდე.

9.5 შეფასების 5-დან 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

5	ხუთი	95 ქულა
4	ოთხი	85 ქულა
3	სამი	70 ქულა

9.6 სტუდენტთა ცოდნის ლათინური ასოებით (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) შეფასების შემთხვევაში მოცემული სისტემის გადაყვანა უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპით:

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B -	ძალიან კარგი	81
C +	კარგი	80
C	კარგი	75
C -	კარგი	71
D +	საშუალო	70
D	საშუალო	65
D -	საშუალო	61
E +	დამაკმაყოფილებელი	60
E	დამაკმაყოფილებელი	55
E -	დამაკმაყოფილებელი	51

9.7 იმ შემთხვევაში თუ ცოდნის შესაფასებლად გამოყენებულია ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, სტუდენტს ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა დისციპლინაში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

9.8 აღნიშნული წესი ეხება თსა-დან გარიცხულ და აღდგენილ, თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხულ, გაცვლით პროგრამებში მონაწილე ყველა სტუდენტს, ასევე მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.

9.9 თსა-ში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტისათვის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და წესი დამატებით აისახება თსა-სა და სტუდენტს და თსა-სა და პარტნიორ უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 10. კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება

- 10.1 სტუდენტს ECTS კრედიტი ენიჭება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამის გათვალისწინებით. სტუდენტთა ცოდნის შეფასება მრავალკომპონენტია და ითვალისწინებს:
- ა) შუალედურ შეფასებებს;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
- ✓ შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
 - ✓ დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.
- 10.2 გამოწაკლისი შემთხვევების გარდა (რომელთა შესახებ გაიწერება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში), საბაზისო სწავლების ეტაპზე შუალედური შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით:
- ა) შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 20 ქულა;
 - ბ) მიმდინარე აქტივობა - მაქსიმუმ 35 ქულა;
 - გ) დასწრების კომპონენტი - მაქსიმუმ 5 ქულა
- 10.3 შუალედური შეფასების პირველი კომპონენტი - შუალედური გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, საგამოცდო ცენტრში ერთჯერადად (20 ქულა). შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილია ცალკე კვირა - სემესტრის მე-8 კვირა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება გავიდეს შუალედურ გამოცდაზე სემესტრის მე-9 კვირის განმავლობაში. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანი. შუალედური გამოცდის ტესტი მოიცავს 20 ან 40 (MCQ) შეკითხვას; შესაბამისად თითოეული ფასდება 1,0 ან 0,5 ქულით (დეტალური ინფორმაცია საგამოცდო სისტემის მუშაობის შესახებ იხ. „საგამოცდო ცენტრის დებულებაში“).
- 10.4 შუალედური შეფასების მეორე კომპონენტი - მიმდინარე აქტივობა შეადგენს 35 ქულას. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნულ კომპონენტში ქულათა გადანაწილება ხდება პედაგოგის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში და დეტალურად აღიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში. შუალედური შეფასება შესაძლოა ჩატარდეს წერითი (ღია შეკითხვები, MCQ ტესტი) ან ზეპირი ფორმით პედაგოგის გადაწყვეტილებით (მიეთითება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში). საგნის განმახორციელებელი პედაგოგი ვალდებულია მინიმუმ 3 შეფასება დააფიქსიროს შუალედურ გამოცდამდე, ხოლო მომდევნო შეფასებები - შუალედური გამოცდის შემდეგ.
- 10.5 საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლოა სასწავლო კურსის შეფასება მოიცავდეს პრეზენტაციას - მაქსიმალური შეფასება 5 ქულა. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

კრიტერიუმი	ქულა
შესრულებული ნაშრომის შინაარსობრივი ღირებულება	1
თემის წარმოდგენის უნარი	1
დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	1
ნაშრომის ვიზუალური გაფორმება	1
რეგლამენტის დაცვის უნარი	1

- 10.6 სტუდენტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ნაშრომი, მათ შორის, ესსე, რეფერატი და სხვ. შემოწმებულ უნდა იქნეს პლაგიატზე ქცევის კოდექსით დადგენილი წესის თანახმად.

10.7 სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასება შეიძლება მოიცავდეს ესსეს - მაქსიმალური შეფასება 20 ქულა; მინიმალური შეფასება 10 ქულა (არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაციები და ერთი კვირა ნაშრომის გადასახალისებლად და სათანადო სახით ჩასაბარებლად). ესსეს შეფასების კრიტერიუმებია:

	მახასიათებლები	მაქს. 2 ქულა
1	უნიკალური და ინფორმატიული სათაური	
2	თვალსაჩინო და ინფორმატიული შესავალი	
3	ესსეს თემა სფეციფიკურია და წარდგენილია ნათლად	
4	ავტორი მოსაზრებებს ამყარებს ლოგიკური და კონტექსტუალურად სწორი არგუმენტებით, რომელიც ეფუძნება ვალიდურ და რელევანტურ წყაროებს. (მინიმუმ 1 წყაროს მითითებით რეფერენსებში)	
5	ესსეს სტრუქტურა დაცულია და თითოეული კომპონენტი იწყება თემასთან დაკავშირებული წინადადებით	
6	გადასვლა ესსეს სტრუქტურულ ნაწილებს შორის ჰარმონიულია და უწყვეტი	
7	ესსეს თემა კარგად არის შესწავლილი და ავტორი ახდენს ცოდნის სიღრმისეულ დემონსტრირებას	
8	ესსეს სრულდება დასკვნით, რომელიც ჰარმონიულად აჯამებს ნაშრომს და აფიქსირებს ავტორის პოზიციას	
9	ავტორი სათანადოდ იყენებს ციტირების რესურსებს (endnotes, footnotes), იცავს ციტირების სტილს (Chicago 17, Harvard, etc.); ბიბლიოგრაფია შედგენილია ჯეროვნად, სტილის დაცვით	
10	ნაშრომის ტექნიკური მხარე, გრამატიკისა და ლექსიკის ჩათვლით შეესაბამება მაღალ აკადემიურ სტანდარტებს, ხარვეზების გარეშე.	

10.8 ესსეს შეფასებისას ქულების განსაზღვრა ხდება შესაბამისად:
2 ქულა: სტუდენტის ნაშრომი შეესაბამება კრიტერიუმის მოთხოვნებს ზედმიწევნით ან მინიმალური ხარვეზით.

1.5 ქულა: სტუდენტის ნაშრომი აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, ფიქსირდება მცირე ხარვეზები, რომლებიც ატარებს მეტად ტექნიკურ ხასიათს.

1 ქულა: სტუდენტის ნაშრომში ფიქსირდება მცირე შინაარსობრივი ხარვეზები, საკითხი არ არის ნათლად დასმული ან განხილული, ფიქსირდება ტექნიკური და ლინგვისტური ხარვეზები;

0.5 ქულა: ნაშრომი არასათანადოა შესრულებული, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და ტექნიკური ხარვეზებით, არ არის ნათელი პრობლემის არსი და მსჯელობა სუსტია.

10.9 შუალედური შეფასების მესამე, დასწრების კომპონენტი ფასდება 5 ქულით. სტუდენტი 5 ქულას იღებს იმ შემთხვევაში თუ ესწრება მეცადინეობების 80%. იმ შემთხვევაში თუ დასწრება 80%-ზე ნაკლებია აღნიშნული კომპონენტი ფასდება 0 ქულით.

10.10 გამონაკლისი შემთხვევების გარდა (რომელთა შესახებ გაიწერება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში) კლინიკური სწავლების ეტაპზე შუალედური შეფასება შედგება სამი კომპონენტისაგან:

მიმდინარე აქტივობა - 30 ქულა

შუალედური გამოცდა - 20 ქულა

თავისუფალი კომპონენტი - 10 ქულა

გამონაკლისის წარმოადგენს ხანმოკლე (10 და ნაკლებდღიანი) კურაციები, რომელთა შემთხვევაში შუალედური გამოცდის ნაცვლად, მისთვის განკუთვნილი 20 ქულა პედაგოგის მიერ გადანაწილდება შეფასების სხვა კომპონენტებზე სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- 10.11 **მიმდინარე აქტივობა (30 ქულა)** - სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი თავად ანაწილებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების ჯერადობას სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით (გამოკითხვები, კლინიკური აქტივობები, დღიურის/ავადმყოფობის ისტორიის წარმოება, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება და ა.შ.) და მიუთითებს შესაბამისი საგნის სილაბუსში. კლინიკურ დისციპლინაში ასათვისებელ კონკრეტულ კლინიკურ უნარ-ჩვევებს, მათზე გათვლილ ქულების მაქსიმალურ რაოდენობას და შეფასების კრიტერიუმებს პედაგოგი თავად განსაზღვრავს და დაწვრილებით გაწერს სილაბუსში. ეს ეხება როგორც საკუთრივ კლინიკური უნარ-ჩვევების კურსებს, ასევე ნებისმიერ კლინიკურ სასწავლო კურსს, სადაც ასათვისებელი ქულების განსაზღვრული რაოდენობა ეთმობა კლინიკური უნარ-ჩვევის შეფასებას.
- 10.12 **თავისუფალი კომპონენტი** - 10 ქულა. თავისუფალი კომპონენტი შესაძლებელია შედგებოდეს ერთი ან ორი ქვეკომპონენტისაგან. თითოეული ქვეკომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით. თავისუფალ კომპონენტს ირჩევს პედაგოგი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და დაწვრილებით გაწერს სილაბუსში. თავისუფალი კომპონენტი შეიძლება იყოს: ლექცია/ჯგუფურ მუშაობაზე დასწრება, პრეზენტაცია და სხვა. შეფასების კრიტერიუმები გაწერილი უნდა იყოს დეტალურად სილაბუსში.
- 10.13 **შუალედური გამოცდა** ტარდება წერითი ფორმით, MCQ ან ღია კითხვებით, საგამოცდო ცენტრში ან ადგილზე პედაგოგის მიერ, წინასწარ განსაზღვრულ დღეს (მითითებული იქნება სილაბუსში), ერთჯერადად (20 ქულა). საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება განმეორებით გავიდეს შუალედურ გამოცდაზე მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში ან სხვა გონივრულ ვადაში, რომელიც მითითებული იქნება სილაბუსში კურაციის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანი (დეტალური ინფორმაცია საგამოცდო სისტემის მუშაობის შესახებ იხ. „საგამოცდო ცენტრის დებულებაში“).
- 10.14 **დასკვნითი გამოცდა** - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა.
- 10.14.1 დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასების მაქსიმალური 60 ქულიდან მოაგროვებს მინიმუმ 31 ქულას.
- 10.14.2 დასკვნითი გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში ან კლინიკაში, სადაც ხორციელდება სასწავლო კურსი/კურაცია. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოცდის ფორმას განსაზღვრავს საგნის პედაგოგი დეკანთან შეთანხმებით და აღწერს შესაბამის სილაბუსში.
- 10.14.3 დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიღებს 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულას. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გავიდეს გამოცდის ორივე კომპონენტზე. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი გადალახავს 50%-იან ზღვარს. ერთ-ერთ კომპონენტში ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტი აბარებს დამატებით გამოცდას ამ კონკრეტულ კომპონენტში. ერთ-ერთი კომპონენტის ვერ ჩაბარების შემთხვევაში კომბინირებული გამოცდა არ ითვლება ჩაბარებულად (დეტალური ინფორმაცია საგამოცდო სისტემის მუშაობის შესახებ იხ. „საგამოცდო ცენტრის დებულებაში“).

- 10.15 დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა საგნის გადაბარების შესაძლებლობა დამატებითი გამოცდით, რომელიც ტარდება შესაბამის საგანში დასკვნითი გამოცდის თარიღიდან არაუადრეს 5 დღისა.
- 10.15.1 დამატებით გამოცდაზე (განმეორებითი დასკვნითი გამოცდა) გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით დააგროვა 41-დან 50-მდე ქულა.
- 10.15.2 შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, მან განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.
- 10.15.3 თსა-ში ტესტირებული დასკვნითი გამოცდისთვის გათვალისწინებულია საკონტაქტო დრო - 2 სთ, ტესტირებული შუალედური გამოცდისთვის - 1 სთ, ხოლო ზეპირი გამოცდებისთვის - 1 სთ.
- 10.15.4 სტუდენტის მიერ მიღებული დაჯამებული შეფასება აისახება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში „საგამოცდო ცენტრის დებულების“ შესაბამისად.
- 10.16 სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს გამოცდაზე მიღებული შედეგები (დეტალური ინფორმაცია საგამოცდო სისტემის მუშაობის შესახებ იხ. „საგამოცდო ცენტრის დებულებაში“).
- 10.17 სტუდენტს სასწავლო კურსში ECTS კრედიტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას შუალედური და დასკვნითი/დამატებითი შეფასებების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.
- 10.18 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სასწავლო კურსის შეფასებით ვერ მიიღებს ECTS კრედიტს, უფლება აქვს აღნიშნული კურსი გაიაროს ინტენსიური კურსის ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო სემესტრში არ დაიშვება პრერეკვიზიტულ სასწავლო კურს(ებ)ზე. ინტენსიური კურსის გავლა სტუდენტისათვის შესაძლებელია საზაფხულო არდადეგების პერიოდში და არაუმეტეს 15 კრედიტის ფარგლებში.
- 10.19 შეფასების სისტემა უშვებს 5 სახის დადებით (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და ორი სახის უარყოფით (ვერ ჩააბარა, ჩაიჭრა) შეფასებას.
- 10.20 სტუდენტის ECTS სისტემით შეფასება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულა	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, Fx (სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40	ჩაიჭრა, F (სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი)

- 10.21 თსა-ში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება GPA-ით (grade point average). სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შესაბამისი GPA კოეფიციენტებია:

ქულა	შეფასება	GPA კოეფიციენტი
91-100	A	4.0
81-90	B	3.0
71-80	C	2.0
61-70	D	1.0
51-60	E	0.5
0-50	F-FX	0

- 10.22 GPA-ის დაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება სწავლების შესაბამის ეტაპზე მიღებული ყველა შეფასება. GPA-ს გამოთვლა ხდება შემდეგი წესის მიხედვით:
- ✓ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების შესაბამისი კოეფიციენტი მრავლდება ამ სასწავლო კურსის კრედიტების ოდენობაზე;
 - ✓ მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე.
- 10.23 მეათედამდე მატემატიკური სიზუსტით დამრგვალებული სიდიდე წარმოადგენს GPA-ს.
- 10.24 კურსდამთავრებულის GPA მიეთითება დიპლომის დანართში.

მუხლი 11. ინტენსიური სწავლების კურსი

- 11.1 სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ სტუდენტს, რომელმაც გაიარა სასწავლო კურსი, მაგრამ ვერ მიიღო კრედიტი რომელიმე საგანში, ეძლევა საშუალება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე განმეორებით გაიაროს აღნიშნული სასწავლო კურსი 10.2 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 11.2 ინტენსიური სწავლების კურსის დაწყება-დამთავრების ვადები რეგულირდება რექტორის ბრძანებით. სტუდენტი გაივლის საგანმანათლებლო პროგრამით ყოველი კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ჯგუფში მუშაობისთვის დადგენილ საკონტაქტო საათებს.
- 11.3 ინტენსიური სწავლების კურსზე სტუდენტის რეგისტრაციის წინაპირობაა გასავლელი სასწავლო კურსის კრედიტების ოდენობის შესაბამისი თანხის გადახდა.
- 11.4 ინტენსიური სწავლების ფორმატში სასწავლო კურსის გამეორება შესაძლებელია მხოლოდ ბაზისურ დისციპლინებში, განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია გამონაკლისი კლინიკური სასწავლო კურსებისთვის, გადაწყვეტილებას იღებს დეკანატი.
- 11.5 ინტენსიური სწავლების ფორმატში სტუდენტს შეუძლია გაიაროს:
- სასწავლო კურსების ჯამური მოცულობა არ აღემატება 15 კრედიტს;
 - სემესტრის განმავლობაში ორ ან მეტ პრერეკვიზიტულ სასწავლო კურსში კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში, პრიორიტეტულობის პრინციპით სტუდენტს უფლება მიეცემა ინტენსიური სწავლების ფორმატში გაიაროს ერთ-ერთი სასწავლო კურსი. ხოლო დანარჩენ სასწავლო კურს(ებ)ს გაივლის მომდევნო სემესტრ(ებ)ში ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად პრერეკვიზიტულობის პრინციპის დაცვით.
- 11.6 სტუდენტს, რომელიც ინტენსიური სწავლების ფორმატშიც ვერ/არ აითვისებს სასწავლო კურსს, რომელიც წარმოადგენს პრერეკვიზიტს მომდევნო სემესტრის რომელიმე სასწავლო კურსისთვის, ეძლევა შესაძლებლობა გააგრძელოს სწავლა მომდევნო სემესტრში, თუმცა მას არ მიეცემა უფლება აითვისოს ის საგანი, რომლისთვისაც წინა სემესტრში დარჩენილი საგანი წარმოადგენს პრერეკვიზიტს.
- 11.7 თუ სასწავლო კურსი არ წარმოადგენს მომდევნო სემესტრში გასავლელი არცერთი სასწავლო კურსის პრერეკვიზიტს, მისი განმეორებით გავლა სტუდენტს შეუძლია როგორც ინტენსიური სწავლების ფორმატში, ასევე მომდევნო სემესტრში ან დამატებით სემესტრში. ნებისმიერ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდა ხდება მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

- 11.8 ინტენსიური სწავლების კურსის ფარგლებში შეფასება მრავალკომპონენტურია: შუალედური შეფასება -60 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. შუალედური შეფასების კომპონენტებია - ერთი შუალედური გამოცდა - 20 ქულა, შუალედური გამოკითხვები - 30 ქულა, დასწრება - 10 ქულა.

მუხლი 12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 12.1 თსა-ში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სარგებლობენ:
- 12.1.1 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;
 - 12.1.2 სტუდენტები, რომლებმაც აკადემიური მოუსწრებლობის გამო სრულად ვერ აითვისეს შესაბამისი კრედიტები;
 - 12.1.3 სტატუს-აღდგენილი სტუდენტები სასწავლო გეგმებში სხვაობის შემთხვევაში;
 - 12.1.4 სტუდენტები პირადი ან ჯგუფური დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე.
- 12.2 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში მედიცინის სკოლის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ მზადდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დასკვნა, სადაც პრერეკვიზიტულობის პრინციპის გათვალისწინებით ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა (სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას).
- 12.3 ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების ვადა განისაზღვრება ახალი სემესტრის დაწყებამდე 1 სამუშაო კვირით ადრე. გამონაკლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის დანართის ცვლილების ვადა განისაზღვროს სემესტრის დაწყებიდან 2 სამუშაო კვირა.
- 12.4 ყველა დანარჩენ შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება დეკანატის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია მომდევნო სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების წინაპირობები (სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას).
- 12.5 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის წლიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

მუხლი 13. დამატებითი სემესტრი

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვა 360კრედიტი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო ორი სემესტრის განმავლობაში.

თავი V სასწავლო წლის რეგლამენტი

მუხლი 14. სასწავლო წლის რეგლამენტი

- 14.1 თსა-ში სასწავლო წელი ორსემესტრიანია - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები.
- 14.1.1 საბაზისო სწავლების ეტაპზე (პირველი 3 წელი) თითოეულ სემესტრში არის 20 კვირა, საიდანაც 15 კვირა გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის, 1 კვირა (მე-8 კვირა) - შუალედური გამოცდებისთვის. სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდგომ 4 კვირა გათვალისწინებულია დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის.
 - 14.1.2 კლინიკური სწავლების ეტაპზე თითოეული სემესტრი მოიცავს ასევე 20 კვირას, საიდანაც 16 კვირა გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის. 4 კვირა გათვალისწინებულია დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის. დასკვნითი გამოცდა

ტარდება სასწავლო კურსის დამთავრებიდან 1-3 დღის შემდეგ, სასწავლო კურსის ხანგრძლივობიდან გამომდინარე (მოკლე კურსის შემთხვევაში (10 დღე) - 1 დღე, ხანგრძლივი კურსის შემთხვევაში (10<) -2-3 დღე). საგნის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გარკვეულ საგნებში დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს სასესიო პერიოდში. დაკვნით გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება სასესიო პერიოდში.

14.2 სასწავლო წლის დაწყების, დასრულების, სასესიო და ინტენსიური სწავლების კურსებისთვის განკუთვნილი ვადები რეგულირდება ყოველი სემესტრის დაწყებამდე რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თავი VI სწავლის საფასური

მუხლი 15. სწავლის საფასური

თსა-ში სწავლის საფასური განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლისთვის და არ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე. სწავლის საფასურის გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე (დეტალური ინფორმაცია იხ. „სწავლის საფასურის გადახდის წესში“).

თავი VII აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

მუხლი 16. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

16.1 თსა-ს სტუდენტს, რომელმაც დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით/კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები დეკანის წარდგინებით, მედიცინის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი და კურსდამთავრებულის სტატუსი.

16.2 აკადემიურ ხარისხს ადასტურებს თსა-ს რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და თსა-ს ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომლის ფორმა შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე ფინანსთა სამინისტროებთან. დიპლომთან ერთად კურსდამთავრებულს ეძლევა ECTS-ის შესაბამისი დიპლომის სტანდარტული დანართი;

16.3 სტუდენტს, რომლის GPA 3.5 და მეტია, გადაეცემა დიპლომი „წარჩინებით“.

16.4 სტუდენტი, რომელმაც ვერ დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით/კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები ძირითად და დამატებით სემესტრებში მიიღებს ცნობას თსა-ში გავლილი სასწავლო კურსების და ათვისებული კრედიტების მითითებით.

თავი VIII საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, შეცვლა, გაუქმება

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა/დამტკიცება, შეცვლა, გაუქმება

17.1 საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და დამტკიცების პროცედურა დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები“.

17.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, თსა იღებს ვალდებულებას მისცეს სტუდენტებს საშუალება შეფერხების გარეშე დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა.

17.3 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში თსა იღებს ვალდებულებას, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ორგანიზება გაუწიოს სტუდენტების გადაყვანას სხვა

ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებელში (აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე), გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი IX დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

18.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს რექტორი.

18.2 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხდება მისი დამტკიცების წესით.

18.3 წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შემთხვევაში.